სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება18/09

ქ.რუსთავი 22 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ რუსთავის №18 საჯარო სკოლა(შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატალია ჯავახიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „გიორგი და ნიკა" (შემდგომში - მიმწოდებელი) , სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები**

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი**

2.1.ხელშეკრულების საგანია : საღებავები, ლაქები (CPV-44800000)

შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

**მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 262 ლარს. **(ორას სამოცდაორი ლარი, 00 თეთრი)**

3.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მითითებული პირი.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში.

**მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

**მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - №18 საჯარო სკოლის დირექტორი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესყიდული საქონლის ხარისხის შემოწმებას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. ინსპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4. ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 8. პირგასამტეხლო**

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

**მუხლი 9. ფორსმაჟორი**

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 10. სუბკონტრაქტორები**

10.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტენ შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

**მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

11.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით. მისი მოქმედების ვადა 30 დღით აღემატება საქონლის მიწოდების საბოლოო ვადას.

11.2. საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების დროს.

11.3. საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მიმწოდებელს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგნის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

11.4 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას საბანკო გარანტია.

**მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მPCიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 13. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**

13.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 14. შეტყობინება**

14.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

14.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 15. გადასახადები და დაბეგვრა**

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 16. ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

**მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

**მუხლი 18. სხვა პირობები**

18.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

18.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**მიმწოდებლის მხრიდან:**

შპს „გიორგი და ნიკა"

მისამართი: ქ. რუსთავი, სტამბულის ბაზრის ტერიტორია
საიდენტიფიკაციო კოდი: 416318210
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. »ლიბერთი ბანკი"

საბანკო კოდი:LBERTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE36LB0113185540473000

/ზაზა ნებიერიძე/

**შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან:**

სსიპ ქ. რუსთავის №18 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. რუსთავი,მელიქიშვილის 7
ტელეფონი: 0 341 270512; 0 341 278382

საიდენტიფიკაციო კოდი: №216317368
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ლიბერთი ბანკი
საბანკო კოდი: LBRTGE22

ანგარიშსწორების ანგარიში:
GE56LB0121192440672000

სკოლის დირექტორი

/ნ.ჯავახიშვილი/

მიღება-ჩაბარების აქტი № 18/09

რუსთავი                                                                                    23 აგვისტო  2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შემსყიდველი სსიპ ქალაქ რუსთავის №18 საჯარო სკოლა მისი დირექტორის ნატალია ჯავახიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გიორგი და ნიკა" კ (შემდგომში-მიმწოდებელი) ვადგენთ ამ აქტს იმის შესახებ, რომ „მიმწოდებელმა", შემსყიდველს" მიაწოდა საღებავები, რომლის ღირებულება შეადგენს 262 ლარს, 00 თეთრს.

ზემოაღნიშნულს ვეთანხმებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მიმწოდებლის მხრიდან:

„გიორგი და ნიკა"

მისამართი: ქ. რუსთავი სტამბულის ბაზრის მიმდ. ტერიტორია

საიდენტიფიკაციო კოდი: 416318210

/ზაზა ნებიერიძე/

შემსყიდველი:

ქ. რუსთავის #18 საჯარო სკოლა დირექტორი

/ ნ.ჯავახიშვილი/

ნ. ჯავახიშვილი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 772

თარიღი: 2016 წლის 24 08, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| GEL | GEL |
| თანხა | 262.00 |
| თანხა სიტყვიერად | ორას სამოცდაორი GEL და 00 |

გადამხდელის დასახელება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი "ქალაქ რუსთავის #18 საჯარო სკოლა"

ანგარიში (დებეტი): GE56LB0121192440672000

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: სსიპ ქალაქ რუსთავის #18 საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი: 216317368 საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:

მიმღების დასახელება: შპს "გიორგი და ნიკა"

საიდენტიფიკაციო კოდი: 416318210 ანგარიში (კრედიტი): GE36LB0113185540473000

მიმღების ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22

გადახდის დანიშნულება: სალებავების საფასური

ხელმოწერა: ნ. ჯავახიშვილი

ნ. გოგნაძე

LEPL Rustavi Public School 18 • 216317368

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 24.08.2016

ხელმოწერა:

LIBERTY BANK

კორექტირების თარიღი: 23/08/2016 13:35:23

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0257155737 |
|---|---|---|

| 2 | 23/08/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 09:48:03 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

| 4 | შპს გიორგი და ნიკა | 416318210 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | საჯარო სამართლის იურიდიული პირი "ქალაქ რუსთავის #18 საჯარო სკოლა" | 216317368 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | სტამბულის ბაზრობის ტერიტორია |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | ქ.თბილისი მელიქიშვილის ქ. 7 |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | საზოგადოებრივი |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X- | |
|---|---|---|
| | სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი | მისაბმელი |

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |
|---|---|

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ПФ115 RENOX 2.6 კგ | re15 | ცალი | 5.0000 | 11.0000 | 55.0000 |
| 2 | საღებავი "Betek Plastik" 15ლტ | 01767 | ცალი | 3.0000 | 65.0000 | 195.0000 |
| 3 | ლაკი ბეტ პარკეტ.1 | 5296 | ცალი | 1.0000 | 12.0000 | 12.0000 |

| 13 | 262 - ორას სამოცდაორი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | უნაღდო ანგარიშსწორებით |
|---|---|

[illegible] საქონელში, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

კორექტირების თარიღი: 23/08/2016 13:35:23

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0257155737 |
|---|---|---|

| 2 | 23/08/2016 | 3 | 09:48:03 |
|---|---|---|---|
| | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | | დრო (საათი, წუთი) |

| 4 | შპს გიორგი და ნიკა | 416318210 | 5 | საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ რუსთავის #18 საჯარო სკოლა | 216317368 |
|---|---|---|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი | | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | სტამბულის ბაზრობის ტერიტორია |
|---|---|
| | ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი) |
| 8 | ქ.თბილისი მელიქიშვილის ქ 7 |
| | ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი) |

| 9 | საზოგადოებრივი | 10 | X | |
|---|---|---|---|---|
| | ტრანსპორტირების სახე | | სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი | მისაბმელი |

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X | 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |
|---|---|---|---|---|
| | | | | თანხა ლარებში |

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ПФ115 RENOX 2.6 კგ | re15 | ცალი | 5.0000 | 11.0000 | 55.0000 |
| 2 | საღებავი "Betek Plastik" 15ლტ | 01767 | ცალი | 3.0000 | 65.0000 | 195.0000 |
| 3 | ლაკი ბეტ პარკეტ 1 | 5296 | ცალი | 1.0000 | 12.0000 | 12.0000 |

| 13 | 262 - ორას სამოცდაორი ლარი და წული თეთრი |
|---|---|
| | მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად) |

| 14 | | 15 | |
|---|---|---|---|
| | გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი) | | მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი) |
| 16 | | 17 | |
| | ხელმოწერა | | ხელმოწერა |

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | უნაღდო ანგარიშსწორებით |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 24/08/2016 12:58:58

LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 772

თარიღი: 2016 წლის 24 08, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| GEL | |
| GEL | 262.00 |
| თანხა სიტყვიერად | ორას სამოცდაორი GEL და 00 |

გადამხდელის დასახელება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი "ქალაქ რუსთავის #18 საჯარო სკოლა"

ანგარიში (დებეტი): GE56LB0121192440672000

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: სსიპ ქალაქ რუსთავის #18 საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი: 216317368

საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:

მიმღების დასახელება: შპს "გიორგი და ნიკა"

საიდენტიფიკაციო კოდი: 416318210

ანგარიში (კრედიტი): GE36LB0113185540473000

მიმღების ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადახდის დანიშნულება: სადეზავების საფასური

ხელმოწერა: ნ. ჯავახიშვილი

ნ. ვოვნაძე

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 24.08.2016

ხელმოწერა:

Stamp: სსიპ ქალაქ რუსთავის N18 საჯარო სკოლა • LEPL Rustavi Public School N18 • 216317368